№ 172
ღვვისტოს 14, ოთხშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 172
აგვისტოს 14, ოთხშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 12 ამა აგვისტოს გარდაიცვალა დრამატურგი და დრამატ. საზოგადოების საპატიო წევრი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

პანაშვიდები ყოველ-დღე: საღამოს 7 საათზედ განსვენებულის სადგომში, ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძისა. გამოსვენება დანიშნულია შაბათს, 17 აგვისტოს. (2—1)

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა და **ივანე** და **გიორგი ანტონის ძენი ცაგარლები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისას, მეორენი ძმისას

ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლისას,

სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდებზე 12 საათზე დილით და საღამოს 8 საათზედ, ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძისა, მიცვალებულს გამოასვენებენ დასაკრძალავად შაბათს, 17 აგვისტოს.

ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველი სექცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ნიჭიერის დრამატურგისა და სახალხო თეატრის ერთგულ მუშაკის

ა. ა. ცაგარლის

გარდაცვალებას.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—18)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, [illegible] და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩააბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ცნობის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

[illegible] საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, სადაც პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლი № 10.

სააგენტონი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—13)

ქალაქ ტფილისის გამგეობისაგან.

ქალაქ ტფილისის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქ ტფილისის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები ოთხის წლის ვადით 1902—1906 წ. დანიშნულია პირველ საარჩევნო განყოფილებისათვის 22 სექტ. მეორესათვის—26 სექტ. და მესამისათვის—29 სექტემბერს ამ 1902 წ.

ამომრჩეველთ ნება აქვსთ მიიღონ გამგეობის კანცელარიიდგან, გარდა უქმე დღეებისა, ყოველ დღე დილის 9 საათიდგან 2 საათამდე საარჩევნო კრებაზედ შესასვლელი ბილეთები, სიები, ინსტრუქცია შესახებ არჩევნების წესისა და ბლანკები ხმოსანთა კანდიდატების დასასახელებლად. (1—6.—1)

ღირსის მამის ანტონ მარტყოფის მონასტრისაგან.

ამა აგვისტოს 13 რიცხვს, საღამოს და 14 ღირსი მამა ანტონის მარტყოფის მონასტერში **მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ალექსის**, საქართველოს ეგზარხოსის მიერ გარდახდილ იქმნება სადღესასწაულო წირვა-ლოცვა, რადგან ამ დროს უნდა შესრულდეს კურთხევა მონასტრის წმ. გიორგის უძველესის ტაძრისა და ღირსის მამა ანტონის-მესვეტისა, აგრეთვე ახლად აღშენებულის საძმო ტრაპეზისა. 15 საღამოთი და 16 აგვისტოს მონასტრის ტაძრის დღესასწაულისა გამო **მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის** მიერ შესრულებულ იქმნება აგრეთვე სადღესასწაულო ღვთის მსახურებანი ტაძარში, ხოლო საღამოს 16 აგვისტოს ლიტანიით გაემართება მთაზედ, რომელიც ნაკურთხია და განწმედილი ღირსის მესვეტეს მოღვაწეობითა.

კეთილ მსახურნი პატივის მცემელნი ღირსის ანტონის დღესასწაულისა მოიწვევიან საერთო ლოცვისა და შეძლებისა გვარად დახმარებისათვის წმ. ანტონის მოღვაწეობის ძეგლის განზრახულ განახლების საქმეში—მისის სვეტისა მაღლა მთაზედ და ღირსის სახელზედ ნიშის აშენებისა იმ ადგილს, სადაც ურწმუნოთაგან დაიხოცნენ ათორმეტნი ძმანი. თვითოეული ქვა ატანილი მაღლა მლოცველთაგან, ამ სადღესასწაულო წირვა-ლოცვაში დამსწრეთაგან და ყოველი წვლილი, შემოწირული ამ წმიდა საქმისათვის აღმშენებელთაგან მიიღებიან უღრმესის მადლობით.

ღვთის მსახურებანი დაიწყება ღამისთევით, საღამოს ლოცვა 6 საათზედ, ლიტურგია (წირვა) დილის 9 საათზედ, ლიტანია დაიწყება ნაშუადღევს 4 საათზედ. (3—6.—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

ტფილისი, 14 **აგვისტოს.**

შევადაროთ ერთმანერთს ფაქტიურად სამრევლო სკოლების ძველი და ახალი გეგმა.

1) ძველი გეგმა შესდგა 1885 წელში; ახალი გეგმა წარსულს წელში, თექვსმეტის წლის შემდეგ.

2) ძველის გეგმის შემადგენელი იყო საქართველოს ეგზარხოსი პავლე, ახალის გეგმისა დეკანოზი ვოსტორგოვი უმთავრესად.

3) ძველი გეგმა შესდგა იმ დროს, როდესაც რუსეთში ორის წლის კურსი იყო დაწესებული სამრევლო სკოლებისათვის, ჩვენის ქვეყნისათვის-კი დაიდო სამის წლის კურსი, რადგანაც უამისოდ რუსულის ენის შესწავლა შეუძლებელი იყო. ახალი გეგმა შესდგა იმ დროს, როდესაც რუსეთში სამრევლო სკოლებისათვის შემოღებულია სამის წლის კურსი, რადგანაც გამოცდილებამ ცხად ჰყო უსაკმარისობა ორის წლის კურსისა; ჩვენში დაიდო ახლა ოთხის წლის კურსი ამავე მიზეზის გამო.

4) ძველი გეგმა მთავარ საგნად სთვლიდა ჩვენებურს სკოლებში ქართულს ენასა, რომელზედაც სწარმოებდა მთელი სწავლა ყველა საგნებისა სამისავე წლის განმავლობაში; თვით რუსული ენა ისწავლებოდა ქართულის ენის შემწეობით. გარდა ამისა, ქართულს ენას, როგორც საგანს, ნარგუნები ჰქონდა ორი გაკვეთილი დღეში, ანუ თორმეტი გაკვეთილი კვირაში თვითოეულს განყოფილებაში; ახალი გეგმა მთავარ საგნად სთვლის რუსულს ენას, რომელზედაც უნდა იწარმოვოს მთელმა სწავლამ, გარდა საღმრთო სჯულისა, რომელიც სამს წელიწადს ისწავლება ქართულს ენაზე და მეოთხე წელს რუსულს ენაზე იმეორებენ. თვითონ სწავლება რუსულის ენისა პირველს წელიწადს სწარმოებს მუნჯურის მეთოდით. გარდა ამისა ამ ენას დათმობილი აქვს ერთი-ორად მეტი გაკვეთილი, ვიდრე წინად ჰქონდა. სამაგიეროდ ძლიერ შემცირებულია მნიშვნელობა ქართულის ენისა ახალს გეგმაში. თორმეტის გაკვეთილის ნაცვლად პირველს განყოფილებაში ექვსი გაკვეთილი ურგუნებიათ დედა-ენისათვის, მეორეში—სამი, მესამეში ორი, და მეოთხეში-კი სრულიად მოსპობილია ქართულის ენის სწავლება. გარდა ამისა პირველს წელიწადს თვით რუსულის ენის სწავლებაში უარყოფილია ქართულის ენის ხმარება.

5) ძველი გეგმა მხოლოდ ორს ტვირთს ჰკიდებდა სამრევლო სკოლასა; ქართულისა და რუსულის ენისა და წიგნის სწავლებასა. ხუცური და სლავიანური სრულიად გამოდევნილი იყო. ახალის გეგმით-კი ეს ორი ენაც არის შეტანილი სკოლის კურსში, და, მაშასადამე, ოთხი ენა და ოთხგვარი წერა-კითხვა უნდა ისწავლონ ნორჩმა ბავშვებმა.

6) ძველი გეგმა ყველა სკოლებს აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოისას რაცხდა ქართულ სკოლებად და ერთი გეგმა იყო ყველასათვის სავალდებულო; ახალი გეგმა ქართულ სკოლებად აღარა სთვლის არც სამეგრელოს სკოლებსა, არც სვანეთისასა და უკრძალავს აქ ქართულის ენის სწავლებასა. თვით იმ სკოლებს შუაგულის საქართველოისას, სადაც ქართველ ბავშვებთან ერთად სწავლობენ, სრულიად გაქართველებულნი შვილები სომხებისა, ოსებისა და ებრაელებისა, ახალი გეგმა ქართულ სკოლებად არ ჰრაცხს, თუნდა ყველა მოსწავლეებმა ქართულის ენის მეტი არა იცოდნენ რა.

7) ძველი გეგმა ჩვენებურს სამრევლო სკოლას ავალებდა არა მარტო ქართულის წერა-კითხვის სწავლებასა, არამედ განვითარებასა და ცოდნის შეძენასა დედა-ენის საშუალებით; ახალი გეგმა სრულიად უარ ჰყოფს ამ უკანასკნელს მნიშვნელობას ქართულის ერისასა. უარ-ჰყოფს ბავშვების განვითარებას და ცოდნის შეძენას დედა-ენის შემწეობით და ამ საგანს საზღვრავს უბრალო წერა-კითხვის შესწავლითა, იმდენად, რამდენიც საჭიროა მოკითხვის ბარათის მიწერისათვის.

8) ძველი გეგმა ქართულ სახელმძღვანელოებიდგან მოითხოვდა მდიდარს შინაარსს, რომელსაც უნდა ცოდნა და განვითარება მიენიჭებინა ბავშვებისათვის; ახალი გეგმა-კი შინაარსიანს სახელმძღვანელოებს უარჰყოფს და უბრალო ანბანის ამარა სტოვებს სკოლებს. განვითარება და ცოდნა უნდა რუსულმა სახელმძღვანელოებმა შეძინონ ბავშვებსაო და არა ქართულმაო, ნათქვამია ახალს გეგმაში.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ის გეგმა, რომელიც მთავრობას წარუდგინა საგანგებო კომისიამ (მამა გო-

როდცევი, ტატიშვილი და ფერაძე) საარსოდ არ განსხვავდებოდა ძველის გეგმისაგან, ახალი გეგმა-კი ყველა საარსო მუხლით ეწინააღმდეგება ამ კომისიის პროექტსა, გარდა საღმრთო სჯულისა. ჯერ-ჯერობით თვით მკითხველი ჩაუკვირდეს ამ მაღალ მნიშვნელოვანს საგანს.—

ტფილისი

◆ განსვენებულ ავქს. ცაგარლის დასაფლავების მეთაურობა და ყოველის თავდარიგის გაწევა უკისრია ჩვენს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას. გამგეობასვე გადაუწყვეტია, რომ ის ფული, რომელიც მოვა პროვინციიდგან გვირგვინების საყიდლად, ან კუბოს შესამკობლად, გადაიდოს მატურის აგების ხარჯად უდროოდ გარდაცვალებულ ახალგაზდა დრამატურგის საფლავზედ.

◆ ალ. შადინოვის მკვლელი ახალ-ბაიაზეთის მაზრის მცხოვრები ამზას პეტროსოვი გამოცხადდა პოლიციაში და აღიარა, რომ მე მოვკალი ეგ კაციო. ისეთი საზიზღარი საქმე შეენიშნე, რომ არ შემეძლო არ მომეკლაო.

◆ ცხინვალსა და მის მიდამოებში დიდი სეტყვა მოსულა და ძალიან დაუზარალებია იქაურობა.

◆ ტფილისიდგან შემოდგომაზედ სამხედრო ბეგარაში გაწვეულია 650 კაცი.

◆ როგორც ყური მოვჰკარით, სოხუმის ოლქის გარდასახადთა ინსპექტორის თანაშემწედ ინიშნება ბ-ნი ი. პოლუმორდვინოვი.

◆ მხატვარმა-მექანდაკემ ხოდოროვიჩმა ტფ. ქალაქის გამგეობას წარუდგინა მოდელი გოგოლის ძეგლისა, რომელიც უნდა დაიდგას ალექსანდრეს ზემო ბაღში. სიმაღლე ძეგლისა 3 ალიბ. 14 გოჯ. უნდა იყოს ქუთაისის წითელის და ლურჯი ქვით ნაკეთები.

◆ ხოდოროვიჩმა წარუდგინა გამგეობას ხარჯთ-აღრიცხვა მათ იმპერატორებითის უდიდებულესობის ოლგა თევდორეს ასულის ძეგლისა, რომელიც უნდა დაიდგას სასახლის წინ და ნახევარი ნაწილი ძეგლისა გადადიოდეს ქალების გიმნაზიის ეზოხი. გამოანგარიშებით ძეგლი დაჯდება 46,525 მანეთი.

◆ ამ თვის 10-ს ქალაქის გამგეობამ ა. ყაზარიანცის მაგიერ პირველის ღამის თავშესაფარის ზედამხედველად დანიშნა მეორე ღამის თავშესაფარის ზედამხედველი ბ-ნი სააკოვი; ხოლო მეორე თავშესაფარის ზედამხედველად ბ-ნი კლიმიაშვილი.

◆ ამას წინად ანდრეევის ქუჩის ზევით დიდუბეში მცხოვრებლებმა მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს: რადგანაც საჭიროა, ჩვენი ქუჩა მოიკირწლოს და ჩვენ შეძლება ჯერ არა გვაქვს, ქალაქმა იდოს თავს ქვით დაფენა, მხოლოდ ნახევარ ხარჯს ჩვენ გარდავიხდითო; ამ თხოვნაზედ აწერდა ხელს რამდენიმე კაცი; ისინი ალუთქვავდნენ სახლის პატრონების მხრივ პასუხის-გებას. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: გადაიდოს ასი თუმანი და მოიკირწლოს ეს ქუჩაო.

◆ ბ-ნ კლიმიაშვილს სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველს, უარი უთხრა ქალაქის გამგეობამ დამატებითის ჯამაგირის მიცემაზედ.

◆ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ნაძალადევის მღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელმა ითხოვა, ქალაქმა ეკკლესიას ადგილი დაუთმოსო, რადგანაც გალავნის მიდამო უნდა გაფართოვდეს და სკოლა აშენდესო, გამგეობამ დაადგინა: მიეზომოს ნათხოვნი ადგილიო.

◆ ნაძალადევის ადგილების გეგმა სრულებით არ არის შემდგარი. ამიტომ ბევრს იჯარით ამ ადგილების აღების მსურველს უარს ეუბნებიან. ახლა გამგეობამ სთხოვა ქალაქის მიწის მზომელს, შეადგინოს დაწვრილებითი გეგმა ნაძალადევში ქალაქის ადგილებისა და უეჭველად წარუდგინოს გამგეობას 1 სექტემბრისათვის.

◆ 2-რე განყოფილების სავაჭრო ზედამხედველსვე, ბ-ნ ფურცელაძეს, მიეცა ერთის თვის ვადით სამსახურიდგან განთავისუფლების ნება ჯამაგირის დაუკლებლად.

◆ ქალაქის გამგეობამ თავის დროზედ დავა გამოუცხადა თამამშევის ქარვასლის პატრონებს იმის თაობაზედ, რომ აქეთ-იქით მიშენებული მაღაზიები ქალაქის მამულზეაო. გამგეობამ მიუწოდა მოსალაპარაკებლად გაბრიელსა და ნიკოლოოზ თამამშოვებს; რადგანაც მარტო ნიკ. თამამშევი გამოცხადდა და მეორისაგან არავითარი დავალება არა ჰქონდა, ამიტომ მორიგება გამგეობასა და თამამშოვებს შორის არ მოხდა და 10 ამ თვეს გამგეობამ დაადგინა: გადაიდოს ეს საქმე სექტემბრამდე, როცა ქარვასლის პატრონები აგარაკიდგან ქალაქში ჩამოვლენო.

◆ გაზ. „Черн. Вѣст.“-ი სწერს: ფინანსთა მინისტრმა სთხოვა გადასახადთა ინსპექტორებს ამიერ კავკასიაში, შემატყობინონ, რაც შეიძლება მალე, შემდეგი ცნობანი საპოლიციო დარაჯთა შესახებ.

1) სახელდობრ, როგორ მოღვაწეობენ საპოლიციო დარაჯნი ბოროტ-მოქმედებათა თავიდგან აცილების (ცარცვა-რბევა და კაცის კვლა) და ავაზაკთა დევნა-დაჭერის საქმეში.

2) შეესაბამება თუ არა ზნეობრივნი და სამოხელეო ღირსებანი ამ დარაჯთა იმ თანამდებობას, რომელიც მათ აქვთ დაკისრებული.

3) იმატა, თუ იკლო დანაშაულობათა რიცხვმა კავკასიაში დარაჯთა განწესების შემდეგ.

4) რაოდენად სასარგებლოდ უნდა ვცნათ მოღვაწეობა დარაჯთა იმ საქმისათვის, რომლისთვისაც იგინი განწესებულ იქმნენ.

5) საჭიროა თუ არა კვლავ დარჩეს ეგ წესი და თვით დღევანდელნი დარაჯნი, თუ სასურველია ცვლილება რამ იქმნას ამ საქმეში შემოღებული.

ამ ხუთის უმთავრესის საგნის გარდა, კიდევ რამდენიმე წვრილმანი საგანიც არის, რომლის გამოც ფინანსთა მინისტრი თხოულობს გარდასახადების ინსპექტორთაგან ცნობასა და განმარტებას.

◆ პარასკევს, 17 აგვისტოს ტფილისის გამგეობის სადგომში კრება ექნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ქუჩების მოკირწვლის საქმე. ქალაქის გამგეობას, რადგანაც ამ ჟამად 300,000 მანეთზე მეტი აქვს ქუჩების საუკეთესო სისტემით მოსაკირწლავად, ამიტომ კომისია უნდა შეუდგეს ზრუნვას, თუ საიდან გამოიწერონ საუკეთესო ქვა, როდის და რა რიგად შეუდგნენ ქუჩების მოკირწვლასა და სხვ.

◆ კვირას, 11 აგვისტოს, საზოგადო კრება ჰქონდა ტფილისის დურგალთა ამხანაგობას. კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა მიხ. ჩორდიშვილი, დაესწრო 25 წევრი. გამგეობის წევრმა ბ-ნმა ქურდიანმა განსახილველად წარუდგინა კრებას ამა წლის გასულ 6 თვის მოქმედების ანგარიში, რომლის შინაარსი უკვე გვქონდა აღნიშნული. (აქვე აღვნიშნავთ, რომ შეცდომით გვქონდა მოხსენებული, ვითომც ამხანაგობას მოგება 377 მან. საანგრიშო წლის განმავლობაში ჰქონდა; ნამდვილად ეს მოგება ამხანაგობას დაარსების დღიდან ჰქონია). ამხანაგობის ანგარიშის განხილვის დროს კამათი გამოიწვია ისევ სამოქმედო თანხის სიმცირემ. დიდის ბჭობის შემდეგ დაადგინეს, სთხოვონ წევრებს დახმარება აღმოუჩინონ ქარხანას სესხებით.

აქ რამდენმამე პირმა 17 თუმნამდე აღუთქვა ქარხანას სესხი. შემდეგ კრებამ ანგარიში დაამტკიცა შეუცვლელად. რადგანაც გამგეობის ზოგიერთმა წევრმა უარი განაცხადა გამგეობაში სამსახურის გაგრძელებაზედ, კრებამ გარდასწყვიტა ამოირჩიოს ახალი წევრები. კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: გ. ბერძნიშვილი (20 თეთრი კენჭი ამოუვიდა და 1 შავი), იოსებ მაჰავარიანი (15 თ. 6 შ.), მიკირტუმოვი (15 თ. 6 შ.) და მიხ. ჩოდრიშვილი (13 თ. 8 შ.). არჩევნების შედეგის გამოცხადების შემდეგ საზოგადოების წევრმა მაჰავარიანმა და სხვებმაც განაცხადეს, ეს არჩევანი უკანონოდ მიგვაჩნია, რადგანაც მიკირტუმოვი კანდიდატის თანამდებობაზედ იყო დასახელებული და, თუ ამოვირჩიეთ, კანდიდატად და არა გამგეობის წევრადო; ამიტომ ვითხოვ ეს არჩევანი გაუქმდეს და კრება გადიდოს შემდეგის კვირისათვისო.

კარგა ხნის მოლაპარაკების შემდეგ კრება დასთანხმდა ამ წინადადებაზედ და ხელახლად გამგეობის წევრთა ამოსარჩევად კრება დაინიშნა კვირას, 19 აგვისტოსათვის.

◆ ბათუმის საპყრობილიდან. „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ხარკოვის მთავარ საპყრობილეში გაუგზავნიათ ხუთი ზაქათალელი ბეგი. ეს ბეგები გადასახლებულ იქმნენ ზაქათალის ოლქიდგან მავნე საზარალო ყოფა-ქცევისათვის.

◆ ჩვენის გაზეთის გუშინ-წინდელ №-ში გვქონდა ნათქვამი, რომ ბ-ნმა ყიფიანმა მიმართა პოლიცმეისტერს თხოვნით, რათა მას მიეცეს ნება ფორმის გულისათვის ატაროს ხის ხანჯალი; უჩვენებია-რა ის ხის ხანჯალი, რომელიც მან პოლიციის წინ დაამტვრია, ძალიან მოეწონებია პოლიცმეისტერს და უთქვამს: შეგიძლიანთ ატაროთ ხის ხანჯალი, მხოლოდ ისეთს ნუ გააკეთებინებთ რომ ძალიან ჰგავდეს ნამდვილსაო, თორემ პოლიცია ბევრჯერ შეგაწუხებსთო.

◆ 11 ამ თვეს შერემეტიევის ქუჩაზედ სახლის ყარაულმა ნიკა ილკარაშვილმა იპოვნა ახლად დაბადებული ბავშვი მამრობითის სქესისა. ბავშვი მჩვრებში იყო შეხვეული და აღმოაჩნდა ბარათი შემდეგის შინარსისა: სამი კვირისაა, მონათლულია, სახელი „ნიკოლაი“. ბავშვი სახებით ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

◆ 11 ამ თვეს გიორგი უსტინაშვილი ჩავიდა შებმულის პავოსკით მტკვარზედ ვოდოვოზნის ჩასახვევთან და წყალი უნდა დაელევინებინა ცხენებისათვის; მტკვრის ტალღები ისე მძლავრი იყო, რომ ცხენებმა ვერ შეიმაგრეს თავი და ერთი ცხენი მდინარემ იმსხვერპლა; უსტინაშვილი მეურავემ ჩირიკოვმა და ტერ-აზარიევმა გადაარჩინეს.

◆ 11 ამ თვეს „კონკის“ ცხენმა მეეტლეს ისე მაგრად მოარტყა გულში წიხლი, რომ მეეტლე გვიდანოვი მძიმედ დაშავდა.

---

† კნეინა ნინო ალექ. ასული ერისთავისა.

5 აგვისტოს, სოფელს დოესში, სადგურ გრაკლის მახლობლად, დაასაფლავეს კნ. ნინო ერისთავისა. მის დამარხვაზედ, როგორც გვწერენ, დიდძალ ხალხს მოეყარა თავი წოდების და სქესის განურჩევლად. ყველას სახეზედ გამოუთქმელი მწუხარება და მღელვარება ეტყობოდა, ყველა ჰგრძნობდა, რომ თვითოეულს მათგანს დაეკარგა მახლობელი, რომელიც ჭირსა და ვარამში გამამხნევებელი და დამხმარებელი იყო, და ყველა მათგანი გამოუთქმელ მწუხარებას ჰგრძნობდა მის დაკარგვის გამო.

ყველანი სცდილობდნენ უკანასკნელი პატივი ეცათ და მიეცილებინათ საუკუნოდ განსასვენებელ ადგილამდე.

რითი იყო გამოჩენილი განსვენებული, რომ მისმა დაკარგვამ ასეთი საერთო მწუხარება გამოიწვია ქართლის მიდამო სოფლებში?

არ იყო განსვენებული მწერალი, რომ მის ნაწერებს მოეხიბლა მისი უკანასკნელად პატივისმცემელნი, არ იყო მდიდარი, რომ უხვის ქველ-მოქმედებით მოეყიდის მოძმის გული, ასე გასინჯეთ „განათლებულიც“-კი არ ყოფილა!

არა, ახლანდელ გიმნაზიაში არ დამახინჯებულა მისი მდიდარი ბუნება, თორემ ისე განათლებულიც ყოფილა და განათლებულიცა და უთუოდ ღრმადაც სწვდებოდა მოძმის გულს მისი განათლების სხივი, თორემ სხვაფრივ არ აიხსნება ის საერთო გლოვა და ცრემლი. რომელიც გამოიწვია მისმა დაკარგვამ.

იმ დროს, როდესაც ჩვენში ყველანი, პოეტნი და პროზით მწერალნი სცდილობენ რაიმე წამალი გამოჰნახონ და სახლს, ოჯახს დაუბრუნონ ქუჩაში ირაოდ მოხეტიალე ჩვენი მომავალი დედები და, რომლის მალამოს, ერთი აწმყოზედ გულ-გატეხილი თამარის დროის დედების აღზრდის მიბაძვაში ჰხედავს და მეორე—ევროპიულად მათს აღზრდაში და ამ კამათის დროს-კი ის დამახინჯებული არსება, რომელიც ამ უკუღმართმა დრომ შეგვძინა და რომელიც არც ღვთისაა და არც ეშმაკისა, ძირს უთხრის ჩვენს ისედაც დაქცეულ ოჯახს

მამის სახლში ღვთისრისხვა, ქმრისას—ჯოჯოხეთის მაშხალა—ეს ერთგვარად არ დაინდობს არც მამის წვითა და დაგვით ნაშოვნ ქონებას და არც ქმრისას.

მცირე ხანი საკმაოა, რომ ქმრის სავსე ოჯახი ამ ქარაფშუტა ქმნილებამ მტრისაგან აოხრებულ ბანაკად აქციოს, და მერმე ზურგი უჩვენოს ქმარსაც და შვილსაც და უდარდელის კისკასით გადმოჰფრინდეს ქალაქის რომელსამე სასტუმროში. აი ამისთანა დროს, ვამბობთ, განსვენებული ნინო ის ოაზისი იყო, რომელსაც კაცი დამაშვრალ თვალს სიამოვნებით შეაჩერებდა.

ღარიბ ოჯახში ობლად დარჩენილი, ჯერ კიდევ 11 წლის ნორჩი, დედამ სასწავლებლიდან გამოიყვანა და პატრონი გაუჩინა, გაათხოვა. იმ დღიდგან განსვენებული ერთგულად უდგა ქმარს გვერდში. თუმცა-და სიმდიდრე არც ქმრის ოჯახში დაჰხვედრია განსვენებულს, მაგრამ ერთგულობით, მომჭირნეობით იქამდის მიიყვანა საქმე, რომ ქმრის ღარიბი ოჯახი გაახალა და ერთ საუკეთესო ოჯახათ აქცია ქართლში. სათნოებით, თავმდაბლობით, მოყვასის გულ-შემატკივრობით და დახმარებით საერთო სიყვარული დაიმსახურა ყველასი...

იქნება ვისმე გაუკვირდეს და იკითხოს:

განსვენებულ ნინოს ცხოვრებაში ისეთი რა იყო, რომ ჩვენში მის მსგავსი არ შეგხვედროდესო? ვინ იტყვის, ნინოს მსგავსი ქალი საქართველოში არ მოიპოვებოდეს, უფრო შესანიშნავიც; მაგრამ ჩვენს დროში, ის პატარა, თავის ოჯახით შემოფარგლული მოღვაწეობა დედა-კაცისა საუბედუროდ იშვიათ მოვლენად გაგვხდომია და ეს იყო მიზეზი, რომ პატივცემულმა ეკ. გაბაშვილისამ, რომელმაც განსვენებულის საფლავზე სიტყვა წარმოსთქვა, ასე გამოეთხოვა განსვენებულს:

- „განა ჩვენს დროში, როდესაც დედაკაცთ, მეტადრე იმ წრეში, რომელსაც შენ ეკუთვნოდი, ისე დაწვრილმანდა, რომ თავის შვილებს ბინას უყიდის, მამა-პაპის მამულს, დედ-მამის სამარხ-სავანეს უცხოს ხელში უგდებს და თვითონ გულ-გატეხილი, თავ-ჩაღუნული და შერცხვენილი მიწას დაჰყურებს, შენ სამაგალითოდ არ ჩაითვლები? დიაღ, შენი ცოცხალი, მხიარული, მხნე და გონიერი არსება, ჩემო ნინო, დვრიტაა, ის უკვდავი სახე სანეტარო ქართველ-ქალისა, რომელიც ოდესმე წელში გაიშლება, გაიფურჩქნება და თვალს გაუსწორებს თავის მომავალსო“.

ღმერთმა ჰქმნას, განსვენებულ ნინო ერისთავისას მიმბაძველნი აღმოჩნდნენ ჩვენში, რომ მის მაგალითს ერთგულებისას, მომჭირნეობისას, მოყვასისადმი სიყვარულისას და სათნოებისას აღფრთოვანებინოს მისი უკან ჩამორჩენილნი დები ახალ, სხვა უკეთეს ცხოვრებისათვის. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ღირსო ქართველო დედა!

№

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. პროფესორი ვ. მ. პეტრიაშვილი და რამდენიმე მისი პატივის-მცემელნი 9 აგვისტოს ეტლებით გელათის მონასტრის დასათვალიერებლად წავიდნენ.

სოფ. ჟუმისთავი (ქუთ. მაზრა). ამ დღეებში დასრულდება ბანოჯა-წყალტუბოს სასოფლო გზა, რომელიც აგერ ორი წელიწადი იქმნება, რაც კეთდება. ეს გზა მიდის ქუთაისიდგან ბანოჯით წყალტუბოს და აქ უერთდება ხონის გზას. სამსახურს უწევს მხოლოდ ერთს სოფელს, სახელდობრ ბანოჯას. რასაკვირველია, ბანოჯისათვის, რომელსაც ხეირიანი გზა არ ჰქონდა ხონის და წყალტუბოს სავლელად, ეს გზა მეტად გამოსადეგი და სასარგებლო იქმნება, განსაკუთრებით, თუ მივიღებთ მხედველობაში, კირის წვის საქმეს, რომელსაც ს. ბანოჯაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. კირის გასატანად, ან შეშის მოსაზიდად ეს გზა წინანდელ ხონის გზაზე უფრო მოკლე, მოხერხებული და უფრო უშიშარია. მაგრამ ბ-ნი მ. ჩიქოვაძე, რომელსაც ამ გზის კეთების თაოსნობა ეკუთვნის, უკეთესს იზამდა, რომ გზისთვის მიმართულება მიეცა გორდისკენ და არა ხონისკენ. ასეთი გზა უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ნივთიერად დაქვეითებულ სოფლებს, ვიდრე ეხლანდელი გზა. საქმე ის არის, რომ ეხლანდელი გზა მარტო ერთს სოფელს ემსახურება, როდესაც-კი ამ გზით შეიძლებოდა შვიდს სოფელს ესარგებლა. ეხლახან სოფელ ჟუმისთავში დაადგინეს განაჩენი, ბანოჯის გზა გააგრძელონ ჟუმისთავს და აქედან მახლობელ სოფლებით შეუერთონ გორდს.

სოფელი ჟუმისთავი და მისი ახლო-მახლო სოფლები—ხომული, ქვილიშორი, ცხუკური და სხვანი ცნობილია ღვინის კარგი მოსავლით; ჟუმისთავში, როგორც წინეთ ნახსენები გვქონდა, საშუალო გლეხს მოუდის 300—400 მანეთის ღვინო, ამას დავუმატოთ სიმინდის შემოსავალიც და სულ 500 მან. შემოსავალი ექმნება. ამ რიცხვს რომ თავი დავანებოთ და ერთი მეორეზე სამას-სამასი მანეთი ვიანგარიშოთ თითო გლეხზე ღვინის და სხვა ჭირნახულის ფასი, ესეც კარგს ფულს შეადგენს ას-ორმოცდა-ათ კომლიან სოფლისათვის. ამდენ-ამდენივე მცხოვრები და ამისთანავე შემოსავალი აქვთ ზემოხსენებულ დანარჩენ სოფლებსაც. მკითხველი იფიქრებს, რომ ამისთანა სოფლები ნივთიერად მდიდრები უნდა იყვნენ, ასეთ შემოსავლიან სოფლებს სიღარიბე არ უნდა აწუხებდესო. საუბედუროდ ეს ასე არ არის. ვისაც ჟუმისთავის ახლო-მახლო სოფლები უნახავს, უეჭველად შეამჩნევდა, რომ აქაური მცხოვრებლები ნივთიერად ძლიერ დაქვეითებული არიან. მიზეზად ამ დაქვეითებისა ჩვენ მიგვაჩნია—უგზობა. ჟუმისთავისკენ ისეთი ცუდი გზებია, განსაკუთრებით ხომულში და ქვილიშორში, რომ ავდრიანს დღეში კაცისათვის შეუძლებელია სიარული, არამც თუ ფეხით, ცხენითაც-კი. საშინელი ტალახის გამო ცხენი სამი საათის სასიარულოს შვიდ-რვა საათს უნდება, და მაშინაც მადლობა უნდა შესწიროს მგზავრმა ღმერთს, თუ ცხენმა კისერი არ მოიტეხა თხრილებსა და ქვებზე ხტომით. ზამთარში ხომ სრულად შეუძლებელი ხდება აქეთ მოგზაურობა. უგზობის გამო კაცი სამი-ოთხი თვე დამწყვდეული რჩება სახლში და ვერ გადის ქალაქად, რაც უნდა საჭიროება ჰქონდეს, ზის სახლში და თავის გასართობად წნავს კალათებს, ან თოფით ხელში დასდევს მამუ-კურდღელს.

ასეთს მდგომარეობაში მყოფი სოფელი, რასაკვირველია, ნივთიერად წინ ვერ წაიწევს, რაც უნდა შემოსავლიანი იყვეს; უგზობის გამო კაცს არ შეუძლია გაიტანოს საქონელი ბაზარზედ, და ვაჭარიც ამ მიზეზის გამო ვერ ჩამოდის სოფლად. ამიტომ აქაურს გლეხს გასაყიდი საქონელი, უმეტეს ნაწილად, გაუყიდველი რჩება. რას უნდა მივაწეროთ, თუ არა უგზობას, ის ღვინის სიაფე, რომელიც წრეულს ჟუმისთავში იყო? შარშანდელ ღვინის მოუსვლელობის გამო, ღვინო ყველგან ძვირობდა, ჟუმისთავში და მის ახლო-მახლო სოფლებში-კი საპალნეს კარგ ღვინოს იღებდით 20—25 მან., როდესაც ასეთივე ღვინო ს. ბანოჯაში საპალნე ფასობდა 25—35 მანეთად.

ამ გარემოებას სოფელმა მიაქცია ყურადღება და ამ ორი წლის წინად ერთხმად გადასწყვიტა გზის გაყვანა ჟუმისთავიდან ქუთაისამდე, მაგრამ ის დღეა და ეს დღე, სიტყვა სიტყვად დარჩა, საქმე-კი დღემდე განისვენებდა წიაღსა შინა აზრამისასა: მხოლოდ წარსულ კვირას აღიძრა ლაპარაკი გზის გაყვანის შესახებ და დამსწრეთ დაადგინეს განაჩენი და წარუდგინეს დასამტკიცებლად მთავრობას. ასეთივე განაჩენი დაადგინეს სხვა ზემოხსენებულ სოფლებშიც. აზრი ჩინებულია, თუ რომ კეთილად დაბოლოვდა. ჩვენ-კი სრული იმედი გვაქვს ამ აზრის განხორციელებისა, რადგანაც სათავეში უდგას ისეთი მხნე და გამრჯელი კაცი, როგორიც არის ბ-ნი ნესტორ [illegible]. ამ პატიოსანმა პირმა ბევრი რამ შესძინა კარგი თავის სოფელს და, რასაკვირველია, არც ახლა დაიზარებს შრომას და ჯაფას თავის სოფლის მკვიდრთა და მის მახლობელ სოფლების საკეთილდღეოდ.

გერ. ხაჯ—მია.

ახმეტა (თელ. მაზრა). „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოვო“,—ეს სწორედ ჩვენს სოფელზედ არის ზედ-გამოჭრილი. მართლა და ვინღა არ იპრიყვებს ჩვენს სოფელს? გზირი, ნაცვალი, მამასახლისი, მევახშე, ვაჭარი,—ყველანი ერთნაირად ჰსრუტავენ, ყველანი იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება მეტს გამორჩნენ გლეხ-კაცს. მხოლოდ დიდი განსხვავებაა სოფლის მევახშეთა შორის: წვრილ-ფეხა მოხელეთა და მევახშე-ვაჭართა. პირველნი თუ მუცელს ემსახურებიან, მეორენი ამას გარდა იმასაც სცდილობენ, რომ რაც შეიძლება, მეტი მამულები შეიძინონ და იქონიონ კიდეც (ახმეტისა და კოდოლის საუკეთესო ზვარები აქაურ მედუქნეებისაა). თუ პირველებს მუცელი გაუღმერთებიათ, სამაგიეროდ, მეორენი ფულს აღმერთებენ. ფულის შეძენისათვის ესენი ხმარობენ ყოველნაირ ხრიკებს და ოინებს, მაგალითად, ატყუებენ გლეხკაცს ზომაში, წონაში, და სხ. მაგალ., გირვანქა შაქარი თელავში ღირს 16 კ., აქ—19 კაპ. გირვანქა ცხვრის ხორცი თელავში ღირს 8 კაპ., აქ—10. მეორე ხარისხის პური იქ—3 კაპ., აქ მესამე ხარისხის ცომ-ცხვარა პური—5 კაპ., ესე გასინჯეთ, გირვანქა ნავთი მატანში, რომელიც ხუთის ვერსით შორავს ახმეტას ღირს 4 კაპ., აქ-კი—5 კ., საკვირველი უფრო ის არის, რომ თუ ერთხელ როგორმე აიწონა მაზანდამ, მთელი წელიწადი ამ აწეულ მაზანდაზედ უნდა ჰყიდონ, და მაინც აღარ გააიაფებენ, თვითონ რაც უნდა იაფად იყიდონ. ამათთვის არავითარი ნიხრი, არავითარი კონტროლი აქ არ არსებობს. მიჰმართავ მამასახლისს რომელიმე მედუქნის უწესობაზედ, არა გამოვა რა: ერთი ხელადა ღვინო და იმისი ჯანი...

ამ ორი წლის წინად მაზრის უფროსის თაოსნობით შემდგარი იყო კომისია, რომელსაც უნდა განეწესა მედუქნეებისთვის ყველა სანოვაგე, თვალყური ედევნებინა სანოვაგის ავ-კარგიანობისა და მედუქნეების უწესო მოქმედებისათვის.

კომისიას შეადგენდა აქაურ ქსენონის ექიმი, ადგილობრივი მღვდელი და სამი თავადიშვილი. თუ არა ვსცდები, თვით გუბერნატორისაგან იყო დამტკიცებული ეს კომისია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ამ კომისიის საქმის ვერავითარი შედეგი ვერ დავინახეთ. დამტკიცება დამტკიცებად დარჩა და საქმეს-კი არ უშველა-რა. ურიგო არ იქნება, რომ ბ-ნი მაზრის უფროსი ხელმეორედ მოაგონებდეს კომისიის წევრებს თავიანთ მოვალეობას და მით ცოტად თუ ბევრად, შეზღუდავდეს მედუქნეების თავ-გასულობას.

5-ს ამ თვისას აქ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ახმეტიდან ერწოში მიდიოდა ორი ცხინვალელი ებრაელი მ. ელისაშვილი და დათიკო ჯანაშვილი. გზაზედ ერთს აღმართზედ დამსხდარან დასასვენებლად. ამ დროს ტყიდან გამოვარდნილა სამი შეიარაღებული კაცი: ერთი ამავე სოფლის მცხოვრები სიმონა ხითარაშვილი და ორიც ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებნი დავით ფრუიძე და იოსებ დოდელიძე. ბოროტ-მოქმედთ ებრაელებისთვის მაშინვე თოფები უსროლიათ. ერთს ტყვია პირში მოხვედრია და მეორეს მუხლში. მუხლში დაჭრილი (მოსე ელისოშვილი) წამომხტარა გასაქცევად. ამ დროს ი. დოდელიძეს ორ-სამ ადგილას გამეტებით ბეჭებში ხანჯალი დაუკრავს, რის გამოც ელისოშვილი წაქცეულა. დოდელიძეს ჰგონებია, ეს არის მოვკალით და ახლა ამხანაგების მისაშველებლად გაქცეულა. ელისოშვილს ამით ესარგებლნა, წამომდგარიყო და რის ვაი-ვაგლახით გამოქცეულიყო და ბუჩქებში დამალულიყო. იგი საღამოზედ ჩამოვიდა სოფელში და უმალვე გამოუცხადა პოლიციას, რომელიც მაშინათვე გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც მკვლელობა მოხდა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ დათიკო ჯანაშვილის გვამი იპოვნეს მთლად დასახიჩრებული. მოკლულს ჯიბეში ჰქონებოდა 120 მან. რომელიც ბოროტ-მოქმედთ წაეღოთ. სვიმონა ხითარაშვილი და დათიკო ფრუიძე პოლიციამ შეიპყრო. მკვლელობის შემდეგ ესენი არხეინად ჩამოსულიყვნენ სოფელში. ამათ მეორე ებრაელი მკვდარი ეგონათ და ამ ამბის გამოქვეყნებას არავისგან არ მოელოდნენ.

ამავე ადგილას იპოვნეს 3 ცხენი; ეს ცხენები მოეპარა ს. ხითარაშვილს წინა დღეს და აქ დაემალა. ეს უკანასკნელი პირველი ქურდია მთელს აქეთ მხარეში. იპარავს ცხენებს და მიუდის გასასყიდად მუღანლოში, ჰსტეხავს სახლებს, ბეღლებს და სხ. ქართველები რომ იტყვიან, ცხრა თოკიდან არის გამოშვებული, სწორედ, ეს არის. თუმცა ბევრჯერ გაუბაწრავს პოლიციას, მაგრამ ზოგიერთ აქაურ ბობოლების წყალობით ბაწრიდგან გამოშვებულა. იმედია, ეხლა მაინც მოაშორებენ ახმეტის საზოგადოებას ამ მავნე და საზიზღარს კაცს.

ს.

კავკასია

აჯიკენტი. „ნოვ. ობ.“-ს სწერენ დეშეშით, რომ გუშინ, 11 აგვისტოს, ნაშუადღევის 2 საათზედ ძლიერი მიწის-ძვრა ვიგრძენით, რომელმაც 20 წუთს გასტანაო. კედლები დასკდა ბევრგან სახლებშიო.

ბესლანი. (ოსეთი) 9 აგვისტოს მოჰკლეს აქ კავკავის ოლქის მე-2 ნაწილის უფროსი კაპიტანი ი. ფ. ვისოცკიო. მოკლული კანცელარიაში მუშაობდა. ტყვია მოარტყეს ყურში და თვალში გაასხდეს. ტყვია-ნაკრავი იმ წამსვე გარდაიცვალა. მოკლულს დარჩა ცოლი და ოთხი შვილი, რომელთაც არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ გააჩნიათო, სწერენ გაზ. „კავკაზს“.

ბაქო: ზუბალაანთ ბიბი-ეიბათის შადრევანმა სულ მოკლე ხანში ამოუტევა $7^1/_2$ მილიონი ფუთი ნავთი. ფუთი რომ თუნდ ერთი შაური ვიანგარიშოთ, ამოტევებულის ნავთის ფასი სამ-ათას თუმანზედ მეტი შესდგება.

უცხოეთი

საფრანგეთი. დღეს ფრანგულს გაზეთებს სალაპარაკოდ სამხედრო მინისტრ ანდრესა და საზღვაო მინისტრ პელტანს შორის მომხდარი განხეთქილება გახდომიათ, რომლის მიზეზადაც შემდეგს გარემოებას ასახელებენ.

გენ. ანდრე გულ-ნაკლულად ყოფილა თავის ადიუტანტ გუმბერზედ; ამას წინად დაუბარებია იგი და მიზეზის დაუსახელებლად, გაუწესებია ერთს შორეულ ჩრდილოეთის გარნიზონში. ოფიცერი, სხვათა შორის, გამოსათხოვებლად ყოფილა საზღვაო მინისტრთანაც, რომელიც კარგად იცნობდა და დიდ პატივსაცა სცემდა მას. პელტანმა მოისურვა საქმის გამოგვარება: მისწერა ანდრეს, გთხოვთ გუმბერი ჩემს ადიუტანტად დანიშნოთო. მისდა გასაოცრად, ანდრემ გადაჭრილი უარი შემოუთვალა. პელტანმა მეორედ მიჰმართა მას იმავე თხოვნით, მაგრამ კიდევ უარი მიიღო; ეს მეტად იწყინა პელტანმა, რადგან იშვიათად მომხდარა, რომ მინისტრს მინისტრისათვის ასეთ მცირე რამეზედ უარი ეთქვას. საქმე იმდენად გამწვავდა, რომ შიგ ჩაერია მინისტრ-პრეზიდენტი კომბი. როგორც იყო, გუმბერი ვენსენს დააბრუნეს, ისევ იმ პოლკში, რომელშიაც უწინ მსახურობდა.

თავის თავად ეს ინციდენტი დიდს არას მოასწავებს, მაგრამ ნაციონალისტთა გაზეთები სულ სხვანაირად ხსნის ამ ამბავს. მათის აზრით სამხედრო მინისტრი ბევრს სხვა მოხელეებსაც დაითხოვს სამსახურიდგან, რადგან რესპუბლიკანულს მიმართულებას ზურგი შეაქცია და ნაციონალიზმისაკენ მიილტვისო. კაპიტანი გუმბერიც მხოლოდ მისთვის დაითხოვა, რომ იგი სულით და გულით რესპუბლიკანელი იყოო.

— როგორც ფრანგული გაზეთები იუწყება, ბაღდადის რკინის გზის მეაქციონერეთა, ფრანგებსა და გერმანელებს შორის დიდი უთანხმოება მომხდარა იმის გამო, რომ საჭირო მასალა მხოლოდ გერმანიიდგან უნდა მოვზიდოთო.

ამ საქმის გამოსარკვევად 12 აგვისტოს პარიჟში კრება უნდა მოხდეს, რომელზედაც გერმანელი მეაქციონერენიც დაესწრებიან. შემდეგ ასეთივე კრება მოხდება ბერლინში. ფრანგ მეაქციონერეთა მიიღეს ცნობა, რომ მათს მოთხოვნილებას შესაფერისი ყურადღება მიექცევაო.

ინგლისი. როგორც გაზეთები იუწყება, ლონდონში დიდის ამბით დაუხვდნენ თურმე ბურების გენერლებს; განსაკუთრებით მით არიან კმაყოფილნი, რომ მეფე-დედოფალი და პრინცესა ვიქტორია დიდის პატივისცემით მოეპყრნენ მათ. გენერლები მოწადინებულნი არიან უფრო დაახლოვებით გაიცნონ ლონდონი, მაგრამ აუარებელი ხალხი დასდევს უკან და მოსვენებას არ აძლევს მათ. იმ სასტუმროების წინ, რომელშიაც იგინი ჩამოხდნენ, თავი მოუყრია მილეთის ხალხს და ელოდდება მათს გამოსვლას; როგორც-კი მოჰკრავენ გენერლებს თვალს, შეიქნება აღტაცებული ყვირილი: „გაუმარჯოს ჩვენს მეგობრებს ბურებსაო!“ ერთი სიტყვით მოსვენებას აღარ აძლევენ. სწორედ მათ შეუძლიანთ სთქვან, შევსწუხდით პატივისცემითაო.

ლონდონში ხმა გავარდა, ვითომც ბოტას, დევეტსა და დელარეის ზღვის აღლუმებზედ დასწრების უარი განეცხადებიოთ; თუ ეს მართალი გამოდგა უეჭველია მისი ბრალი იქნება, რომ ბურების დესპანი ფიშერი დიდი წინააღმდეგია თავის თანამემამულეთა მოქმედებით და არავითარ საშუალებას არა ჰზოგავს, რომ როგორმე ისევ გაამწვავოს ინგლისის მთავრობისა და მათი ურთიერთობა. ბურების მოყვარენი ამბობენ, დევეტი სწორედ ეკალზედ იჯდა, სანამ ჩემბერლენთან იყო დარბაზადაო და მოუთმენლად ელოდა, როდის მოვშორდები ამ ბოროტს სულსაო.

ამერიკა. ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა, ლოიკ დე-ლობელმა, დიდი ყურადღება მიიპყრო თავის პროექტით—პარიჟისა და ნიუ-იორკის რკინის გზით შერთებისა. ამ პროექტის შესახებ წინად ჰქონდათ მსჯელობა ფრანგულ სპეციალურს გაზეთებს, მაგრამ ეხლახან პარიჟში გამოვიდა ბროშურა: „Le chemin de fer Trans-Alaska-Siberien“, რომელშიაც დაწვრილებითაა მოყვანილი ზემოხსენებული პროექტი.

ამ ბროშურას დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ ყველგან საზღვარ-გარედ, და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ საფრანგეთში მაინც ყველას გაჰკვირვებია, რომ გერმანიაც თანაგრძნობით ეკიდება ამ პროექტს; ჩვენ არ გვეგონა, რომ გერმანიაც მოიწონებდა ამ პროექტსაო, თუმცა მათთვისაც დიდად სასარგებლო იქნება მისი განხორციელებაო. მართლაც და, ამ გზამ უნდა გაიაროს 480 კილომეტრი საფრანგეთის მამულზედ, ბელგიისაზედ—160 კ. და გერმანიისაზედ—1070. საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთისათვის ერთნაირად საყურადღებოა ამ პროექტის განხორციელება, და შესაძლოა, რომ ამ გარემოებამ მომავალში მაინც შეაერთოს ეს სამი სახელმწიფოო. ეჭვს გარეშეა, რომ ავსტრიისა და იტალიისათვისაც დიდად სასარგებლო იქნება ეს გზაო.

საბერძნეთი. გაზ. „Jnformation“-ის სიტყვით, ბატონიშვილი გიორგი დიდად თავგამოდებულია, რომ კუნძ. კრიტი საბერძნეთს შეუერთოს. მაგრამ დიდი სახელმწიფოთა უმრავლესობა წინააღმდეგია ამ განზრახვისა. რადგან იგი ეწინააღმდეგება ევროპის საერო პოლიტიკას. დიდი სახელმწიფოები, განსაკუთრებით იტალია, რუსეთი და საფრანგეთი, მოწადინებულნი არიან, რომ მაკედონიასა და ალბანიაშიც იგეთივე მმართველობა შემოიღონ, როგორც კრიტზეა, ე. ი. მიანიჭონ მათ სრული თავისუფლება შინაურ მართვა-გამგეობისა, და მხოლოდ გარეშე საქმებში დაუქვემდებარონ ოსმალეთს; მეთვალყურედ-კი ევროპის სახელმწიფოები უნდა იქმნენ.

ეხლა დიდმა სახელმწიფოებმა რომ ბატონიშვილ გიორგის მისცენ მხარი და კრიტი საბერძნეთს შეუერთონ, ჩრულიად უნდა უარ ჰყონ გეგმა მაკედონია-ალბანიის საქმეებისა; ამაზედ-კი სახელმწიფოები არასოდეს არ დასთანხმდებიან.

გერმანია. კვირას, აგვისტოს 4-ს, დიდი შეტაკება მოსვლიათ გერმანელებსა და ჩეხებს მარავიაში. ამ დღეს ყოფილა თურმე ჩეხების გიმნასტთა დღესასწაული. იმ შენობის წინ, რომელშიაც ჩეხელი გიმნასტები იყვნენ შეკრებილნი გერმანელთა დიდძალმა ბრბომ მოიყარა თავი და მოუთმენლად ელოდდა გიმნასტების გარედ გამოსვლას. გერმანელებს რაღაც ახირებულ მიზეზით არ უნდოდათ, რომ ჩეხელ გიმნასტებს, როგორც მიღებულია, ქალაქის ქუჩებზედ ჩამოევლოთ ნაციონალურის სიმღერითა და მუსიკით. ჩეხებმა ყურიც არ ათხოვეს გერმანელების მუქარასა და გამოვიდნენ ქუჩაზედ. შეიქნა ხელჩართული კრივი; ერთი ჩეხელისათვის ძალიან ეცემათ. მშვიდობიანობის აღსადგენად საჭირო შეიქნა სამხედრო რაზმის გამოწვევა.

შუა ამერია. დანციელის საგენტოს ატყობინებენ ნიუ-იორკიდგან, რომ რესპუბლიკა ვენეცუელის პრეზიდენტი გენერალი კორტრო ვენეცუელის მეამბოხეებმა ჩაიგდეს ხელში და ტყვედ წაიყვანესო.

სხვა-და-სხვა წერილები

პასუხად ბ-ნს დონ-ვალიანს.

ქუთაისში რომ რაიმე ამორჩევებს უხიფათოთ და უდავიდარაბოთ ჩაეაროს, ეს ჩვენ იქ მყოფობაში ჯერ არ გვინახავს და, შორს ნაცხოვრს, არ გვსმენია. ქალაქის წრევანდელ ამორჩევებიდგან-კი უზრუნველ გვეგონა ჩვენი თავი; ძველი დასების კინკლაობას ნაჩვევთ მოლოდინი გვქონდა, რომ მათში პირად მღელვარების ციებ-ცხელება ჩაჰქრა, რადგან ცნობილი კალისტრატე საზოგადო ასპარეზს უკვე ჩამოაცალეს და უმისოთ-კი ქუთათურ მოდასეთ რა ჰქონდათ და აქვთ გასაყოფი, სადაო. ამასავე დაგვიდასტურებდნენ დღევანდელ კენჭაობისათვის განმზადილნიც და დასძენდენ, რომ თუ კალისტრატემ ყუთი არ დაიდგა, საქმე კარგათ იქნებაო, მაგრამ მოლოდინი გაცრუვდა: სხვა ღირსეულებთან კალისტრატემაც კენჭი იყარა ხმოსნობაზე და მისმა გათეთრებამ-კი ბევრს ძალიან გული დასწყვიტა. თუმცა ჩვენ, როგორც ყოველთვის, ახლაც მაინც კიდე გვაკვირვებდა ასეთი შიში ერთი კაცისა, მით უფრო, რომ მისი მოდავენი ამტკიცებდნენ, კალისტრატე მოკვდა, მისი დასი აღარ არსებობსო, და საკვირველიც აქ ის არის, რომ თუ ეს ასეა, დღეს მაინც რას-ღა იწუხებენ თავს მისი აჩრდილით, და ბევრს ახლად სამოქმედოთ გამოსულთ არ აქადნიან: კალისტრატეს გვერდით ამოსკუპებულხარ, უნდა გრცხვენოდესო, ამგვარი ხერხი-კი ვერაფერი თავმდებია მისი გამოსადეგრობისა. ბრალი იდეიის, აზრისადმი და არა პიროვნებისადმი,—აი რით უნდა იყოს დაინტერესებული ყოველი ნამდვილი მოღვაწის სახელის მატარებელი...

წრევანდელ ამორჩევებსაც უხიფათოთ არ ჩაუვლია-თქო, ვთქვით ჩვენ, და ეს მათი ხიფათიანობაც ერთხელ აჩემებულ ბრძოლის ნიადაგზე დგომას მოჰყვა მეთქი. აი სხვათა შორის ამას ვუსაყვედურებდი წრევანდელ განახლებულ საბჭოს „ივ.“ № 145 და 146-ში, რომელსაც ასე გაუნაწყენებია „ც. ფ.“ ახალგაზდა კორესპონდენტი ბ. დონ-ვალიანი და, რომელსაც, როგორც მოსალოდნელი იყო, საბოდიშოთ განუმზადებია იგი. თავისს რედაქციისადმი მიმართულ მოკლე წერილს ბ. ვალიანი ჩემი გრძელი წერილის დაცინვით იწყებს და ამბობს: «თუ მოთმინებას იქონიებთ და ბოლომდის წაიკითხავთ ბ. ისოს წერილს თითონაც დარწმუნდებით მისს „უმართებულობაში“ და მისი მთლად გარჩევა ხომ დაგვიმტკიცებდა მისს ბრალდებათა (ერთი მაინც დაგვესახელებინათ, თქვე დალოცვილო, გარდა პირადათ თქვენ შესახებ ბრალდებისა!) უადგილობასო, რაც, მისივე სიტყვით, „ბევრს ადგილს მოითხოვდა (და მიტომაც შეუმოკლებია იგი მომჭირნე „ც. ფ. რედაქციას?) და მაინც და მაინც არც ისე საჭიროაო“, დასძენს მოკლეთ მოუბნობის მოყვარული კორესპონდენტი.

ჩემი საკორესპონდენციო წერილების სიდიდის მომდურავი თქვენს გარდა, იქნება, სხვაც იყოს, იქნება თვალსა და ყურს გარდა, თავშიაც ეხირებოდეს ვისმე იგი,—მაგრამ თქვენ მათი სიავ-კარგის დიაგნოზის დადებაში, როგორც ვატყობ, მხოლოდ გემოვნება გაქვთ სახეში, და ხომ მოგეხსენებათ „о вкусахъ не спорятъ“-ო. ჩემი კორესპონდენციების „უადგილობაზედ“ სწორედ ორი სიტყვის დაცინვით მხოლოდ თქვენ ამოიღეთ ხმა დღეს *), ალბად, ისინი თქვენს გემოზედ ვერ მომიგვარებია! მაგრამ ერთი გარჯილიყავით და თავთავის დროზედ აგენუსხათ მათი უადგილობა, თუ-კი თქვენებრ ასე „უმართებულო ბრალდებებს“ ვდებდი ვისმე. მე როდესაც „ივერიის“ კორესპონდენტობა ვიკისრე, რედაქციას არ დავპირებივარ „ქუთათური ამბებით“, ქუჩა-ქუჩა და ბულვარში შეკრებილ მოჭორილ ხასიათის ცნობებით გაზეთს აგივსებ-თქო. საამისო წერის ხასიათი სწორედ არ მაქვს. მე მინდოდა და მინდა ოცნება, ჭორები და სიმართლე თვით გაარჩიოს კორესპონდენტმა, აღნუსხოს მხოლოდ სინამდვილე და შეძლებისა-და გვარად, თუ გულს ერჩის, წინ წაუმძღვაროს თვისი მსჯელობა-შენიშვნებიც დღიურს საკითხებზედ, რათა მშრალი ფაქტები უინტერესონი არ დარჩნენ. მე ჩემს კორესპონდენციებში არ ვსცდილვარ სისწრაფით სენსაციური ხასიათი მიმეცა ამა თუ იმ ამბის, ან მოვლენის შეტყობინების დროს, როგორც ამას ეწაფვიან საზოგადოდ ბაზრის მაძებარი გაზეთები ხშირად საკორესპონდენციო წერილებში მე საკუთარ მსჯელობას, მსჯელობის განმარტებას ვურთავდი სხვა-და-სხვა დღიურს საკითხებს, რისთვისაც, ვგონებ, მკითხველი არ უნდა ენდუროდეს კორესპონდენტს, რადგან ჩვენი შინაური ცხოვრების საკითხების გამო ლაპარაკს ჩვენი განათლებულნი ისე არიდებენ პირს, თითქოს ერთს და ორს კორესპონდენტს გარდა, მათ მოვალეობასაც არ შეადგენდეს მათზედ ლაპარაკი პრესაში.

ამნაირად, მე რიგიან კორესპონდენტის მოვალეობა სულ სხვანაირად მესმის, ვინემ თქვენ და თქვენებრ საქმის ალმაცერად მაყურებლებს. დღეს ჩვენი ცხოვრების ჭირ-ვარამი ისე უყურადღებოდ არის მიტოვებული, როგორც ქალაქად, ისე მით უფრო სოფლად, რომ რიგიან კორესპონდენტობის მოვალეობაზედ და მათ შექმნაზედ ლაპარაკი მეტად საჭიროდ მიმაჩნია და ბ-ნი ვალიანიც ნუ გვისაყვედურებს, თუ ამაზედ სიტყვა გავუგძელეთ. პირიქით, რომ ადგილი იყოს, კიდევ ბევრი გვქონდა სათქმელი ამ საკითხზე, მაგრამ დონ-ვალიანისებურ მიზეზს კიდევ სადმე და ოდესმე წავაწყდებით და მკითხველსაც მაშინ მოველაპარაკებით ამ ფრიად საჭირო საგანზე. კიდევ გეტყვით, რომ თქვენებრ ჩემი კორესპონდენციის მომდურავნი მათი სიდიდის გამო, არა თუ „ივ.“, „ცნ. ფურცლის“ მკითხველებშიაც (თუ-კი, რასაკვირველია, ჩვენებური მკითხველი ერთი გაზეთით არ კმაყოფილდება) ბევრი არ მგონია და, ვინც არის, ისინიც გაზეთში, ალბად, სენსაციურ ამბების მეტს არას დაეძებს და თუ ესენიც ჰკლეთ, სხარტულათ არ არის გამოთქმული, „გძელი სიტყვის“ წაკითხვას როგორ მოითმენენ, ამაზედ „დროს არ დაჰკარგავენ“ და ან კიდევ თუ გადაათვალიერებენ მხოლოდ იმიტომ, რომ არავინ შესწამოს, ჩვენ გაზეთს არ კითხულობ და ამიტომ ჩვენი ცხოვრების საკითხების არა, გაგეგება-რაო. ამგვარ მკითხველებს ჩვენი-კი არა ფილოსოფოსთა აფორიზმებით ნალაპარაკებიც არა მოხვდებათ გულში და მათი ქართული პრესისადმი ყურადღების მიპყრობის პრეტენზიისანი არც ჩვენ ვართ. ამგვართა გაქართველ-მკითხველობა არც მაგრე ადვილი საქმეა. მაშ, ბ-ნო ვალიანო, ამ მხრით თქვენი ირონია შეგიძლიათ უკანვე გაიბრუნოთ და აწი-კი თქვენ მოკლე და შინაარსიან წერილის სხვა ადგილებზე გადავიდეთ.

თქვენ ბ-ნო დონ-ვალიანო, როგორც სჩანს ბ-ნ დ. მდივნის, რომელსაც როგორც კარგ და დახელოვნებულ მდივანს (სეკრეტარს) მეც თქვენზე ნაკლებ არ ვიცნობ და როგორც ასეთს, პატივსა ვცემ, გამოსარჩლებას ძალზე გაუტაცნიხართ. მაგრამ ეს ფაქტები ჩვენ (დღევანდელ მებრძოლთა გარეშე მდგომთ) ნებას გვაძლევს ურჩიოთ ვისმე (და ისიც პრესაში) რაიმე საქმე (რაშიაც გამოტეხილს გეტყვით დახელოვნება იქნებ რომელიმე გოტენტოტმა ვერ შესძლოს და ჩვენებური ნიჭის პატრონი და შრომის მოყვარე ადამიანი-კი უსათუოთ შესძლებს) ვისიმე მონოპოლიად გავხადოთ და მისს წინააღმდეგ კანდიდატის გამოყვანაც კი ვერავის გავაბედვინოთ?!

სწორედ ახირებული უკანდევნაა, და გვაკვირვებს ქუთათურ ახალგაზდების ამ ტრადიციულ ეთიკის მოსარჩლეობა. ამათი სიტყვით, თუ საზოგადო ასპარეზზე ვინმე რაიმე ადგილი ხელთ იგდო, მისი იქიდან დაძვრა სიცოცხლეში მოუხერხებელია, ეს მისი მოღვაწეობის დაგმობა იქნებაო და სხ.

როგორ გგონიათ, ბ-ნო ვალიანო, რატომ არ უნდა წამოეყენებიათ „მტრებს თუ მოყვრებს“ (ნეტა ვინ არიან ეს მტერ-მოყვრები ერთი-ორი მაინც დაესახელებინა კორესპონდენტს, რომ მათზე ან ავი გვეთქვა ან კარგი!) გამგეობის წევრობაზე გარდა ბ-ნ მდივნისა, სხვა ვინმეც, თუ-კი ეს სხვები სასურველი კანდიდატები აღმოჩნდებოდნენ? ამ სხვებში, მონაჭორად კანდიდატები რომ არ ჩავთვალოთ ამორჩევების ციებ ცხელების დროს ორი ახალგაზდა იყო წამოყენებული: ბ.ბ. ვასილ თუმანიშვილი და იასონ ბაქრაძე, ორთავე პატიოსანი, მშრომელი და ქუთათურ „მამების“ სამაგიერო სამოღვაწეოთ განმზადილ ახალგაზდათა შორის კარგათ ცნობილნი. რა თქმა უნდა, არ დავიჟინებთ, ვითომ მათზე უკეთეს საგამგეობო წევრს ქუთათურები ვერ იშოვნიდნენ. განა არ ვიცით, რომ მჯობნის მჯობნი არ დაილევა და თუ ჩვენ დაგვასახელებინებდნენ, იქნებ უკეთესიც გამონახულიყო. მაგრამ სხვების-კი არა, ამათთან და ამათ გამო მოლაპარაკების დროც ვინღა მოგცა: ქუთათურ საქმის წაფუცფუცებითაც იოლით წავიდნენ განახლებულ საბჭოს „მამები“; სხვა კანდიდატების წამოყენებამ, ვისაც თავი ქუდში ეგულებოდა, ისინიც-კი დააფაცურა და, რასაკვირველია, ყველა თავ-ქუდ მოგლეჯილი თავისიანების ხმების, თუ კენჭების საკრეფად წავიდ-წამოვიდა. ამასობაში ბ-ნ თუმანიშვილმა, სხვა უფრო ხელსაყრელ ადგილის მოლოდინში, კანდიდატობაზე უარი განაცხადა. დარჩა, გარდა მდივნისა, ბაქრაძე, რომლის კანდიდატურა არც ისე ნაჩქარები იყო, როგორც ეს „ც. ფ.“ კორესპონდენტს დაუჟინია და თავის საბოდიშო წერილში კიდე იმეორებს იმის შესახებ „გამოაძვრინესო“. ნეტა სხვა უფრო ზრდილობიანი სიტყვა ვერ მონახა ბ-ნმა ვალიანმა თუ ვიზედმე რისამე დაცინვა უნდოდა?! ი. ბაქრაძის კანდიდატურაზე ლაპარაკი ხმოსნების ამორჩევების დღიდანვე იყო, მხოლოდ, რადგან არ იცოდნენ, ხმოსნებად ვინ დამტკიცდებოდა და ვინ არა, და აგრეთვე ჩვენებურ დაუდევრობის მიზეზით კანდიდატების გამო მოსალაპარაკებლად კრებები, ხმოსნებს არ გაუმართავთ: ერთმანეთს ბულვარზე შეხვდებოდნენ და ორიოდ სიტყვას წაულაპარაკებდნენ:მე ეს მყავს კანდიდატადმე—ისო. დინჯად მოლაპარაკების და ქუთაისს გარეშე კანდიდატის ძებნის დრო-კი სადღა იყო. როცა ერთ საერთო მოლაპარაკებაზედ ხმოსნები ვერ შეთანხმდნენ, აქ უკვე გამოირკვა, ვინ საით იყო, თუმცა ბევრმა ფრონტი ორთავე კანდიდატების შესახებ უცებ შესცვალ-შემოსცვალა და მათი მეგულთმისნე კორესპოდენ. დონ-ვალიანი-კი დღეს უსაყვედურებს ბაქრაძის კანდიდატურის წამომყენებლებს: „ფრთხილად უნდა მოქცეულიყვნენ და ბაჯაღლო ოქროთ არ უნდა მიეღოთ ყველას სიტყვებიო“. სხვა დროს-კი ბ-ნ ვალიანი იმას გვისაყვედურებს ამ პირთა ნალაპარაკევი, „ბაჯაღლო ოქროდ“ რატომ არ მიგაჩნიათო!

მაგრამ ასეთი სიტყვები ხომ მხ. საპოლემიკოდ გამოადგება და მეტ არაფრად.

საპოლემიკო თვალთ-მაქცობის შეკითხვად მიმაჩნია ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ბ-ნ ვალიანისა: „ისო კორესპოდენტს ნეტავ რომელი ბანაკი მოსწონსო?!“ ეს სიტყვები კაიხანია ერთი „ბურჯის“ მიერ წარმოთქმული რომ თქვენგან, ბ-ნო ვალიანო, უადგილოდვე განმეორებული არ იყოს, იქნებ დამეკმაყოფილებინა თქვენი ცნობის-მოყვარეობა. მაგრამ დღეს-დღეობით ამას არავითარი კავშირი არ აქვს ჩვენ საბაასო საგანთან და სხვა დროს-კი შეიძლება ამაზედაც ვილაპაკოთ, რადგან იგი თქვენც დღემდე ვერ, თუ არ გამოგირკვევიათ.

შემდეგ თქვენ განაგრძობთ, რომ საბოდიშო არაფერი გაქვთ **იმ ზოგიერთ ვაჟბატონებთან, რომელნიც უგულწრფელოდ მოქმედებდნენ“** და რომელთაც **საზოგადო საქმის დახმარება-კი** არ უნდოდათ ბ. ბაქრაძის ამორჩევით, არამედ ბ. ბაქრაძის და მდივნის **შეტაკება, მათ შორის ხმების გაყოფა, რომ ამით ესარგებლნათ და ზურგს უკან ამომალული კანდიდატი** (ყოფილი დირექტორი; ნ. ერისთავი, რომელიც საიდან იცით, რომ კანდიდატებში არ გათეთრდებოდა, რომ მისი ყუთი დადგმულიყო?) **გაეთეთრებინათ** და დასძენთ; „აი ამათ (ვის და ვის, სახელდობრ?) ვუწოდებ, როგორც **ი. ბაქრაძის, ისე საზოგადო საქმის მტრებს** (კურსივი ჩვენია), ამ სიტყვებით ბ. ვალიანო, თქვენ მაინც კიდე არ თქვით, ვინ არიან განახლებულ საბჭოში საზოგადო საქმის მტრები, რომელნიც ასე გულწრფელად და მალულად (ჩვენ-კი ასეთი საქციელი არ შეგვიმჩნევია) მოქმედებდნენო“, რომ ამ თავითვე თქვენ საბუთი მოგცესთ ასე უშვერის ეპიტეტებით მოგეხსენებინათ იგინი და, ან კიდევ ვინ არიან ის „მოყვრები“, რომელნიც დღეს ერთს ლაპარაკობენ და ხვალ მეორეს, კიდეც ჰრიან და კიდეც კერვენ, ასე, რომ მათი სიტყვები „ბაჯაღლო ოქროდ“ მისაღები არ არის?! ვინ არიან ეს სათაკილო პირნი, რომელთაც ბ-ნ იასონს დათვური მეგობრობა გაუწიეს და დღეს post factum „დიდად მოხარული“ ხართ, რომ მოლოდინი არ გამართლდა და „ეგ სიმპატიური ყმაწვილი“(?) არ გაშავდა? რით დაამტკიცეთ, გარდა ლიტონ სიტყვებისა, რომ ჩემი თქვენდამი ბრალდება ჩემი და ჩემებურთა ცილისწამებაა და, არა თქვენივე, შეიძლება, თქვენდავე უნებურად, როგორც ბ-ნ ი. ბაქრაძის, ისე მისი კანდიდატურის წამომყენებელთა დაუმსახურებლად შეურაცხყოფა, რისთვისაც სწორედ-კი გაქვთ საბოდიშო ერთთანაც და მეორეებთანაც, თუ რასაკვირველია, ამ უკანასკნელთა შესახებ არ გაჯიუტდებით.

ასეთი აზრისა ვარ მე თქვენი უმართებულო საქციელის შესახებ, და რაც შეეხება თქვენგან ახლა ნაქებ ი. ბაქრაძეს და თქვენგანვე განრისხებულ მის კანდიდატურის წამომყენებლებს,—მათი საქმეა რამდენათ დამსახურებულათ არიან ისინი მოხსენებულნი თქვენ კორესპონდენციაში („ცნ. ფ.„ № 1857) და აგრეთვე ჩემ საპასუხო წერილში (იქვე № 1874).

დასასრულ თვით „ცნ. ფურ.“ რედაქციას საყვედური, რომ თავისს სანდო კორესპონდენტს აღარ დაენდო, წერილი შეუმოკლა და მით იგი უეჭველია, დაუმახინჯა „ხასიათი შეუცვალა“, რაზედაც ბ-ნ დონ-ვალიანის წერილის ბოლოს მან საჭიროდ დაინახა ბოდიშის მოხდა. რედაქციის მიერ წერილის „ხასიათის შეცვლა“ სწორეთ არ მიგვაჩნია ლიტერატურულ ეთიკის კანონების დაცვად, რაც დღევანდლამდე უმთავრესი თანამშრომლის ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის წყალობით „ცნ. ფურ.“ რედაქციას უკვე შეუთვისებია, მიუხედავათ იმისა, რომ მან (რედაქციამ) ერთხელ თვისი თანამშრომლის ამ საგანზე წერილს შენიშვნა გაუკეთა, ავტორს ზოგიერთ აზრებში არ ვეთანხმებითო და, როგორც ყოველი ამგვარი სარედაქციო შენიშვნები სხვა-და-სხვა საინტერესო საკითხების შესახებ, ამაზედ ჯერაც არ გამოუთქვამს თავისი აზრი. ეტყობა რედაქციას ხელმძღვანელებმა უსუსტეს, რომ სახელმძღვანელო წერილებს თავს ველარ ართმევს. ეს-კი სამწუხაროა ახალგაზდების ჩვენში სამაგალითოდ გავრცელებულის გაზეთისა.

ისო.

---

*) სიმართლე მოითხოვს აღვნიშნო, რომ კუხელ მოღვაწეს ბ-ნ წერეთელსაც დაადგა გულზე ერთი ჩემი კორესპონდენცია („ივ.“ № 101), რომელიც ადვილი მოსანელებელი იყო, რომ მას ჭამის უნარი ჰქონოდა და უმცდარ მოღვაწის „mania grandiosa“-თი არ იყოს შეპყრობილი. მაგრამ მისს საპასუხოდ კიდევ მოგვეცემა მიზეზი და გამოვალებულს მივუზღავთ.

ავტ.

თეატრი და ხელოვნება

სოფ. კასპი. 11 ამ თვეს სოფელ კასპში გაიმართა საქველ-მოქმედო წარმოდგენა, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. წარმოდგენამ მხიარულად და მწყობრად ჩაიარა; ჩვენმა დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტებმა ქ-ნ გაბუნია—ცაგარლისამ, კარგარეთლისამ ბ. ბ. გუნიამ, სვიმონიძემ, ივანიძემ და ბეგლარიძემ ხელოვნურათ შეასრულეს 1) ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ და 2) ადვოკატთან, და თავიანთ

მწყობრის თამაშით ხალხი ერთობ ასიამოვნეს. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე მასწავლებელი ვახტანგ ქარუმიძე, ნ. ანდრონიკაშვილი, გ. ყიფიანი, გ. ქარუმიძე, რომელთაც ამ სიმპატიურს საქმეს ყოველ გვარი დახმარება აღმოუჩინეს. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომელმაც მხიარულად ჩაიარა და თითქმის მზის ამოსვლამდე გასტანა.

—

18 ამ თვეს ს. ჭალაში ზოგიერთ არტისტების მონაწილეობით გაიმართება საქველმოქმედო წარმოდგენა.

„ივერიის“ ფოსტა:

შაშიანი. კ. სეხნიაშვილს· თქვენის თხოვნით მიჰმართეთ „კვალის“ რედაქციას.

ნ. ლ. ბ—ძეს. თქვენი ლექსი—„ვუძღვნი განსვენებულს“ არ იბეჭდება.

Discipulus-Mundis-ს. თქვენი ლექსი—„გამოთხოვებაზე“ არ იბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

12 აგვისტო

პეტერბურგი. ჯარმა იწყო დაბრუნება კრასნო-სელოს ბანაკიდგან. 12 აგვისტოს გადმოვიდა პეტერბურგს საოლქო შტაბი, გვარდიის კორპუსის შტაბი და პრეობრაჟენსკის პოლკი. ყველაზე მეტ ხანს, 1-ლ სექტემბრამდე, კრასნოე-სელოს დარჩება ლეიბგვარდიის დრაგუნის პოლკი, რომელიც მერე პეტერგოფს გადავა, სადაც მისთვის სადგომის აგება სრულდება.

ჰელსინგფორსი. გაზეთი „ვიბორგო ნიაეტორი“ იუწყება, რომ 16 აგვისტოს ვიბორგში იხსნება მეათე კრება ფინის მოვაჭრეთა.

რიაზანი. საგუბერნიო კომიტეტი სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა იხსნება 25 აგვისტოს.

არრასი. ლივენში პოლიციის კომისარმა სასმელების სახლის პატრონს აღმოუჩინა დინამიტის პატრონები, მოტანილი ვინმე ბენუასაგან. ბენუას შეპყრობის დროს სახლი გაჩხრიკეს და შეპყრობილის ტანისამოსში აღმოჩნდა სამი ასაფეთქებელი მანქანა.

13 აგვისტო

ხარკოვი. აქ მოვიდა მინისტრი იუსტიციისა სტატს-სეკრეტარი მურავიოვი, დაათვალიერა შენობა სასამართლო დაწესებულებათა და გაემართა სევასტოპოლს.

ჟიტომირი. მოსავალი საშუალოზედ უკეთესია; სეტყვამ 400,000 მანეთამდე ზარალი მისცა აქაურობას.

ტაშკენტი. ბამბამ საუკეთესოდ შეჰყარა ტანი; მოსავალი სულადისა მშვენიერია.

პეტერბურგი. უმაღლესის რესკრიპტებით ებოძათ მისის უდიდებულესობის საკუთარის კანცელარიის მთავარ-გამგებელს იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა საქმეებში გრაფს პროტასოვ-ბახმეტიევს ბრილიანტებით მოოჭვილი სათუთუნე მისის უდიდებულესობის პარტრეტითურთ; ინფანტერიის გენერალს გორემიკინს გამოეცხადა უმაღლესად მადლობა; ადმირალ ტეისტვოს საბჭოს წევრს გენერალ-ლეიტენანტს კოლოკოლცევს ებოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა; სამხედრო საბჭოს წევრს ინფანტერიის გენერალს პავლოვს ებრძანა ყოფნა სახელმწიფო საბჭოს წევრად; პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ფონ-ანრეპს ყოფნა სამკურნალო დეპარტამენტის დირექტორად; შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორს როგოვიჩს ებოძა იაროსლავის გუბერნატორობა; იაროსლავის გუბერნატორს შტვურმერს ზემოხსენებულ დეპარტამენტის დირექტორობა.—მინისტრ-პრეზიდენტი ჩერნოგორიის მთავრის კარის წინაშე ვლასოვი დაინიშნა დესპანად სპარსეთის კარზედ; დესპანი სპარსეთის კარზედ არგიროპულო—გარეშე საქმეთა სამინისტროს უფროს მოთათბირედ.—წევრი ადმირალტეისტვოს საბჭოსი ადმირალი კაზნაკოვი დანიშნულ იქმნა გენერალ-ადიუტანტად.—სახელმწიფო საბჭოს გარდაწყვეტილებით, რომელიც უმაღლესად იქმნა დამტკიცებული დაწესდა: სასწავლებელთა მთავრობას ნება აქვს შესაწყნარებელს შემთხვევაში იშუამდგომლოს, რომ კვლავ გადაიდოს ვადა სამხედრო ბეგრის მოხდისა განათლების დასამთავრებლად.

პეტერბურგის ბირჟა, 9 აგვისტო.

ვექსილის კურსი **3** თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,, ...	46,27½
პარიჟში ,, ...	37,62½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	461 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	352 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	287¼ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9825 წვ. გაყ.
აქციები ,, " " "	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. .	180 წვ. გაყ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სასამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 9 აგვისტოსათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ალექსანდრე იაგუშოვისა და სოსია ხანდოლიშვილის დავა მამულის შესახებ.

სტეფანე მანიას და კონტარია ჩითანოვის დავა ხარზედ;

ელისაბედ თარხან-მოურავისა და ივანე ნეფედიევ-რომანოვსკის დავა აღმასრულებელ ფურცლის შესახებ

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—8)

საბჭო დედათა სასწავლებლისა

მცხეთის დედათა მონასტერთან აცხადებს, რომ ოთხ ნორმალურ და სამს მოსამზადებელის კლასის განყოფილებებში და პანსიონში არის თავისუფალი ვაკანსიები მოწაფეთათვის. სასწავლებელში შესვლის მსურველთ შეუძლიანთ თხოვნებით მიმართონ სასწავლებლის საბჭოს და მასთან წარადგინონ მოწმობები: მეტრიკული და ყვავილის აცრისა. ფასი ნახევარ წლობით წინდაწინ, (შესანახი წელიწადში 120 მან.) სწავლისა, (правоученіе) 20 მან. და პირველ მოსამზადებელი 20 მან. გარე შეგირდებმა უნდა იცხოვრონ მშობლების ნაცნობებთან, ან ვისთანაც მთავრობა ურჩევს. მისაღები ეგზამენები დანიშნულია პირველ ენკენისთვეს. ადრესი: Станція Мцхетъ. (Тиф. губ.) Совѣту женскаго училища при монастырѣ.

თავმჯდომარე საბჭოსი იგუმენია ნინო.

(2—1)

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

სწავლების საგნები:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხჰალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთ-მრეწველობის დარგის გამოუგლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა** (**კორესპონდენცია**) 4) **სავექსილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველდღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—18)

ბალანსი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა **1** ივლისისათვის 1902 წ.

აქტივი

		მანეთი.	კაპ.		
ნაღდი ფული კასსაში		64,467	30	—	—
გირავნობის ფურცლებით		614,800	—	679,267	30
მიმდინარე ანგარიში სხვა-და-სხვა ბანკში . .		613,473	76	—	—
ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში შეტანილი		250		—	—
კორესპონდენტებთან ნაღდად		29,677	07	643,399	83
" " გირავნობის ფურც. .		—		1.129,500	—
ბანკის სარგებლიანი ქაღალდები:					
სახელმწიფო მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი ქაღალდები:					
ა) სათადარიგო თანხა . .	536.500	510,050	55	—	—
ბ) სამოქმედ. თანხა . . .	530.100	502,495	89	—	—
მთავრობის მიერ არა-უზრუნველ-ყოფილი სარგებლიანი ქაღალდები:					
სამოქმედო თანხის . . .	244,000	205,301	65	1,217,848	09
იმათი სარგებელი		—	—	27	42
	1.310,600				
დიდ-ვადიანი სესხი:					
ა) მიწა-ადგილის გირაოზედ მიღებით გაცემული. . .	3.802,429—66	—	—	—	—
ბ) ქალაქის უძრავ-ქონებათა გირაოზედ მიღებით გაცემული .	25.693,841—39	29.496,271	05	—	—
ვადაზედ გარდასახდ. სესხი .	222,132—52	—	—	—	—
ვადამდე გარდ ხდილი სესხი ნაღდ ფულათ	3,296—43	225,428	95	29.721,700	—
გასაცემად დანიშნული ხანგრძლივ-ვადიანი სესხი.		—	—	1.813,600	—
მსესხებელნი:					
ა) დანაწილებულნი შემოსატანნი .		1,346	64	—	—
ბ) ვადა-გადადებული შემოსატანნი . .		—	=	—	—
გ) ვადას-გადაცილებულნი შემოსატანნი (დებიტორები)		17,047	81	18,394	45
შეღავათიანი გარდასახ. § 12:					
ა) დიდ ვადიანის სესხისა		758,193	94	—	—
ბ) მოკლე-ვადიანის სესხისა		6,959	05	765,152	99
ჯარიმა ვადაზედ შემოსატანის დაგვიანებისათვის.		—	—	12,183	56
მოკლე-ვადიანი სესხი		—	—	229,592	00
დასაბრუნებელი ხარჯი		—	—	67,066	17
ხარჯი: ა) ბანკის მორთვა-მოწყობისა . .		6,545	90	—	—
" ბ) გამგეობისა და შენახვისა. . .		48,220	81	54,766	17
საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცლები.				174,528	50
ბაქოს სააგენტოშია ნაღდ ფულად . . .		134,395	03	—	—
" " გირავნ. ფურცლებით. .		42,000	—	176,395	03
სამრეწველო გარდასახადი		—	—	559	12
ბანკზედ დარჩენილი მამულების შემოსავალი და ხარჯი		—	—	2,010	01
ბანკზედ დარჩენილ მამულ. ირიცხ. თავნ. ვალი:					
ა) ქალაქის მამულებზედ .	30,980—43				
ბ) მიწა-ადგილზედ . .	16,848—29				
გ) მოკლე-ვადიან სესხის .	8,020—				
	55,848—72				
ბ ა ლ ა ნ ს ი		—	—	36.705,991	18

პასსივი

ძირის ფული	—	—	481,854	44
სათადარიგო თანხა	—	—	510,053	28
თანხა საზოგადო საჭიროებისათვის. .	—	—	88,327	57
სასოფლო-სამეურნეო თანხა	—	—	31,605	44
საყოველ-შემთხვევო თანხა	—	—	29,440	75
4½% გამოცემული გირავნ. ფურც. . .	4.481,700	—	—	—
5% " " "	24.983,800	—	29.465,500	—
გირავნობის ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რომელიც გადადებულ იქმნა წესდების მე 101 §-ის ძალით, არა სავალდებულო გარდასახადის მოსასპობად . .	—	—	256,200	—
გირავნობის ფურცლები გამოსაცემად დანიშნულნი.	—	—	1.813,600	—
გირავნობის ფურცლები ექსპედიციის მიერ გამოცემული	—	—	911,600	—
ვადამდე გადასახდელი სესხი:	—	—	—	—
ა) გირავნობის ფურცლებით . . .	569,200	—	—	—
ბ) ნაღდის ფულით . - . . .	3,296	43	572,496	43
ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები:				
4½% . :	2,200	—	—	—
5%	230,200	—	—	—
6% გირავნობის ფურცლები ტირაჟში გამოსული ჩვეულებრივ და გაძლიერებულის კონვერსიით . . .	11,700	—	244,100	—
გირავნობის ფურცლების გადასახდელი კუპონები:				
6%	927	—	—	—
5%	656,542	50	—	—
4½%	105,079	50	762,549	00
სარგებლის ფონდი:				
5%	625,041	02	—	—
4½%	100,829	91	725,870	93
თავნის გასასტუმრებელი თანხა:				
5% ვადით.	7,481	71	—	—
5% უვადოთ	189,064	98	—	—
4½%	25,585	83	222,132	52
თავნის გასასტუმრებ. ფონდი არა სავალდებ. გარდასახ. იმ გირაოს ფურცელ., რომლებიც ურთიერთ შორის თავდებობით არის გამოცემული	—	—	9	04
გარდამავალნი ჯამნი:				
ა) ნაღდის ფულით	69,655	87	—	—
ბ) გირავნობის ფურცლებით . .	112,100	—	—	—
ამ თავითვე გარდახდილი შესატანი. . .	3.440	10	185,195	97
საკომისიოდ მიღებული გირან. ფურც . .	—	—	193,400	—
მოკლე-ვადიან სესხის სარგებელი . .	13,567	41	—	—
მართვა-შენახვის ხარჯის თანხა. . .	138,954	88	—	—
დასაფასებელ და სხვა ხარჯის თანხა . .	7,470	98	—	—
ჯარიმა	28,181	44	—	—
სხვა-და-სხვა სარგებელი. . . .	20,831	30	209,005	01
განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში . .	—	—	2,789	73
5 % სახელმწიფო გარდასახადი . .	—	—	261	07
ბ ა ლ ა ნ ს ი	—	—	36.705,991	18

გირავნობის ფურცლები და სხვა % ქაღალდები შენახულია 5,200 მ.

გირავნობის ფურცლების კუპონებისა და ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლების ფულის მიღება შეიძლება: **ქ. ტფილისში**—ბანკის კასსაში; ს.-პეტერბურგში—პეტერბურგის საუჩოტო და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა იმის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში, საბანკო სახლში ი. ვ. იუნკერისა და ამხ.; **მოსკოვში**—მოსკოვის საუჩოტო ბანკში, მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკში და ყველ იმის განყოფილებაში; ძმ. ჯანგაროვების სავაჭრო სახლში: **ვარშავში**—ვარშავის საკომერციო ბანკში; **ტაგანროგში**—აზოვო-დონის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; **რიგაში**—რიგის საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში; **რეველში**—ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში, და სახელმწიფო ბანკში და ამ ბანკის ყოველ კანტორასა და განყოფილებაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი **ა. ი. სარაჯიშვილი.**